ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №7329573

ნომერი: AR11070470

თარიღი : 16.12.2024

გაცემის თარიღი : 23.12.2024

გაცნობის თარიღი : 23.12.2024

შედეგი : განუხილველი.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, მუხრან მაჭავარიანის ქუჩა, N 28;

დამკვეთი-განმცხადებელი

- შოთა ასპანიძე პ/ნ 35001120922
- ასპინძა ს. ნიჯგორი ვარძიის I ჩიხი N 2

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2024 წლის 16 დეკემბერს №AR11070470 განცხადებით მომართა შოთა ასპანიძემ და მოითხოვა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 28 ნოემბრის №ბ17.01243333 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლთან დაკავშირებით.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2018 წლის 23 მარტის №3880813 ბრძანებით №01.10.18.006.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმდა მრავალფუნქციური შენობის არქიტექტურული პროექტი. სამსახურრის 2018 წლის 18 აპრილის №3918449 ბრძანებით ზემოაღნიშნული არქიტექტურული პროექტის საფუძველზე გაიცა მშენებლობის ნებართვა. სამსახურის 2018 წლის 11 ოქტომბრის №4213452 ბრძანებით შევიდა ცვლილება სამსახურრის 2018 წლის 18 აპრილის №3918449 ბრძანებაში მშენებლობის ვადასთან დაკავშირებით. აღნიშნულის შემდეგ ობიექტზე დაინტერესებულ პირს შეთანხმებული პროექტის ცვლილების ან/და მშენებლობის ნებართვის მიღების მოთხოვნით არ მოუმართავს.
ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ინსპექციის 2024 წლის 28 ნოემბრის №ბ17.01243333 ბრძანებით მიღებულ იქნა ექსპლუატაციაში №01.10.18.006.080 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე სანებართვო პირობების დარღვევით ნაწარმოები მშენებლობადამთავრებული ობიექტი (მრავალფუნქციური შენობა).
დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად სამსახურმა დაადგინა, რომ მშენებლობა ნაწარმოები იქნა სანებართვო პირობების დარღვევით და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალურ ინსპექციაში წარდგენილ იქნა ფაქტობრივი მდგომარეობის შესაბამისი ნახაზები, რომლებიც სამსახურთან შეთანხმებული არ ყოფილა.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახური არ არის უფლებამოსილი გაასწოროს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის 2024 წლის 28 ნოემბრის №ბ17.01243333 ბრძანებაში.
წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქ. №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.